

სს მეტრო მეფ

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის
31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ამონაგები	9
5. პირდაპირი ხარჯები	9
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
7. ძირითადი საშუალებები	10
8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში.....	11
9. მარაგები.....	11
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	12
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13. საგადასახადო ვალდებულება/აქტივი	12
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
15. პირობითი ვალდებულებები.....	13
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14

სს მეტრო მეფ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	4	5,432,303	9,560,740
პირდაპირი ხარჯები	5	(154,653)	(71,777)
საერთო მოგება		5,277,650	9,488,963
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(242,360)	(353,535)
შემოსავალი მიღებული დივიდენდებიდან	8	-	952,092
სხვა შემოსავლები		888	288,814
სხვა ხარჯები		(115,082)	(39,508)
საოპერაციო მოგება		4,921,096	10,336,826
ფინანსური ხარჯები		(11,849)	(7,819)
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		486,010	(174,902)
მოგება დაბეგვრამდე		5,395,257	10,154,105
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		5,395,257	10,154,105

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ქუმსალ ათან

დირექტორი _____ ესმა ზანდარაძე

სს მეტრო მეფ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	79,517	258,097
არამატერიალური აქტივები		6,559	7,213
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	8	1,200,000	1,200,000
		1,286,076	1,465,310
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	141,833	141,949
საგადასახადო აქტივები	13	198,371	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	12,531,865	7,385,197
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11	51,826	49,876
		12,923,895	7,577,022
სულ აქტივები		14,209,971	9,042,332
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		5,515,344	120,087
სულ კაპიტალი		5,525,344	130,087
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		126,434	114,584
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,352	12,776
გადასახდელი დივიდენდები		8,554,841	8,554,841
საგადასახადო ვალდებულებები	13	-	230,044
		8,684,627	8,912,245
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,209,971	9,042,332

7-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს მეტრო მეფ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	10,000	2,508,449	2,518,449
მფლობელებზე განაწილება გამოცხადებული დივიდენდი	-	(12,542,467)	(12,542,467)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,154,105	10,154,105
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	10,000	120,087	130,087
მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,395,257	5,395,257
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	10,000	5,515,344	5,525,344

სს მეტრო მეფ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,735,228	787,203
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები		(294,785)	(152,756)
გადახდილი გადასახადები		(1,438,552)	(756,283)
წმინდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული) ფულადი სახსრები		1,891	(121,836)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა შემოსულობანი სესხებიდან		-	123,431
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-	123,431
წმინდა ზრდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		1,891	1,595
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	49,876	48,249
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული მოგება		59	32
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	51,826	49,876

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მეტრო მეფ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს. კომპანია არის სააქციო საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გოგოლის ქ.1.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები.

კომპანიის მფლობელი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“, რომელიც კომპანიაში ფლობს 100%-იან წილს.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 12%-იან წილს სს მეტრო ბეტონში.

კომპანიის დირექტორები არიან ესმა ზანდარაძე და ქუმსალ ათან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 16-ე შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა კომპანიაზე გავლენა მოახდინა. კომპანიამ დროებით შეაჩერა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მენეჯმენტის მოლოდინით, პანდემიის დასრულებისთანავე კომპანია მოახდენს არსებული ხელშეკრულებების გაგრძელებას და დაუბრუნდება საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმს. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას შეექმნება ფინანსური სირთულეები, დედა კომპანია მზად არის მოახდინოს დამატებითი შენატანები კაპიტალში ან კომპანიას გამოუყოს სესხი შეღავათიანი პირობებით. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) კომპანია, დებიტორის ფინანსურ სიმძნელებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები. სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებას კომპანია აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. სასამართლო დავებზე ინფორმაცია განმარტებულია მე-15 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ამონაგები

	2020	2019
სამშენებლო მომსახურებიდან მიღებული ამონაგები	5,432,303	9,560,740
	5,432,303	9,560,740

სამშენებლო მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სამშენებლო პროექტებისთვის ნახაზების, დიზაინის, არქიტექტურულ მომსახურებებს.

5. პირდაპირი ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(154,653)	(71,777)
	(154,653)	(71,777)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(178,580)	(123,568)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(27,005)	(7,207)
იჯარა	(25,127)	(12,466)
საკონსულტაციო ხარჯი	(1,271)	(7,122)
პერსონალის ხარჯი	-	(3,000)
უიმედო ვალების ხარჯი	-	(187,020)
სხვა	(10,377)	(13,152)
	(242,360)	(353,535)

უიმედო ვალების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 10.

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სპეც-მანქანები	სულ
31 დეკემბერი 2018	444,986	205,540	42,992	15,684	709,202
ჩამოწერა	-	(196)	-	-	(196)
31 დეკემბერი 2019	444,986	205,344	42,992	15,684	709,006
ჩამოწერა	(75,602)	(38,355)	-	-	(113,957)
31 დეკემბერი 2020	369,384	166,989	42,992	15,684	595,049
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	(250,951)	(119,357)	(21,573)	(9,066)	(400,947)
ცვეთა	(69,619)	(42,214)	(8,598)	(3,137)	(123,568)
წინა პერიოდის ცვეთის კორექტირება	71,318	474	-	1,814	73,606
31 დეკემბერი 2019	(249,252)	(161,097)	(30,171)	(10,389)	(450,909)
ცვეთა	(126,866)	(40,038)	(8,539)	(3,137)	(178,580)
ჩამოწერა	75,602	38,355	-	-	113,957
31 დეკემბერი 2020	(300,516)	(162,780)	(38,710)	(13,526)	(515,532)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	195,734	44,247	12,821	5,295	258,097
31 დეკემბერი 2020	68,868	4,209	4,282	2,158	79,517

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კუთვნილი ავტომობილები დაყადაღებულია (არ აქვს განკარგვის უფლება) საგადასახადო ორგანოს მიერ, ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების გადაუხდელობის გამო.

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ფინანსურ ანგარიშგებაში მეკავშირე საწარმო რომელიც აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სს მეტრო ქონსტრაქშენი*	12%	12%
ინვესტიციის მოცულობა	1,200,000	1,200,000

(*) - სს მეტრო ქონსტრაქშენი“ დაფუძნდა 2017 წლის ივლისში. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო ბეტონის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანია მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა დივიდენდებიდან შეადგინა 952,092 ლარი, რომელიც წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

9. მარაგები

	2020	2019
საქონელი	140,333	140,334
სხვა	1,500	1,615
	141,833	141,949

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	11,289,623	6,131,149
მისაღები დივიდენდები	952,092	952,092
სხვა მოთხოვნები	3,269	15,075
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	267,389	267,389
წინასწარ გაწეული ხარჯი	19,492	19,492
	12,531,865	7,385,197

2019 წლებში კომპანიამ მოახდინა უიმედო ვალების ჩამოწერა 187,020 ლარი,, რომლებიც წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო მოთხოვნები არ არიან ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

კომპანიის მოთხოვნები არ არის ჩადებული რაიმე სახის უზრუნველყოფაში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ფული ბანკში და მიმდინარე ანგარიშებზე	3,691	8,883
შეზღუდული ფული*	48,135	40,958
ფული სალაროში	-	35
	51,826	49,876

(*) - წარმოადგენს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაყადაღებულ თანხას, სასამართლო დავის დასრულებამდე. დეტალურად იხილეთ შენიშვნა 15.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სრულად წარმოდგენილია სახელფასო ვალდებულებებით.

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. საგადასახადო ვალდებულება/აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის გაწკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებული. როგორც აქტივი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 198,371 ლარი და როგორც ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 230,044 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელი	მეკავშირე საწარმო	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	952,092	11,487,340
მიღებული სესხები	(126,434)	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(8,554,841)	-	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	-	-	5,432,303
ფინანსური ხარჯები	(11,849)	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(8,856)	-	(33,613)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელი	მეკავშირე საწარმო	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	952,092	6,337,912
მიღებული სესხები	114,584	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(8,554,841)	-	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	-	-	6,160,280
შემოსავალი მიღებული დივიდენდებიდან	-	952,092	-
ფინანსური ხარჯები	(7,819)	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,400)	-	(15,531)
სხვა ხარჯები	-	-	(2,832)

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

კომპანია იყო სასამართლო დავის მოპასუხე მხარე. კომპანიასა და ყოფილ თანამშრომელს ფატიკ ოზსოის შორის წარმოიშვა დავა მიუღებელ ხელფასებზე. ფატიკ ოზსოიმ პირველი ინსტანციის სასამართლოში პროცესი მოიგო, რითაც სს კომპანიას დაეკისრა 20,479 ლარის ანაზღაურება. მეორე ინსტანციაში, საპელაგიო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი და ფატიკ ოზსოის სარჩელი არ დააკმაყოფილა. 2021 წლის 18 აგვისტოს სასამართლო განჩინებით ყადაღა მოეხსნა კომპანიის ფულად სახსრებს 20,479 ლარის ოდენობით.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიამ 2019 წელს ჩვეულებრივი იჯარით აიღო სასაწყობე ფართი, სადაც განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული მარაგები.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულების დაუფარავი ნაშთები, რომელთა დაფარვა მოხდება საანგარიშო პერიოდიდან ერთ წელში:

	2020	2019
	ერთ წლამდე	ერთ წლამდე
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები	16,271	16,271

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ევრო	4.0233	3.2095

მეკავშირე საწარმო

სადაც კომპანიას აქვს გავლენა (და არა კონტროლი), საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, კლასიფიცირდება როგორც მეკავშირე საწარმო, რომელიც საწყისი აღიარებისას წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თვითღირებულებით.

კომპანია მეკავშირე საწარმოში წილს შემდგომში აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით, რომელიც გულისხმობს შემდეგს: კომპანია თავის ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოში აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ამ მოდელს კომპანია იყენებს იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ამ ინვესტიციის გამოქვეყნებული კოტირებული ფასი.

კომპანია ინვესტიციიდან მიღებულ დივიდენდებს და სხვა სახის განაწილებებს აღიარებს, როგორც შემოსავალი, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე, თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სპეც-მანქანები	5
სხვა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს: სამშენებლო პროექტებისთვის ნახაზების, დიზაინის, არქიტექტურულ მომსახურებებს.

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ზოგჯერ ამ მეთოდს უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს). მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

(ა) წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

პირობითი ვალდებულება არის:

(ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არ მოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან
- ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი ვალდებულების შესახებ გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

სს მეტრო მეფ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	4	5,432,303	9,560,740
პირდაპირი ხარჯები	5	(154,653)	(71,777)
საერთო მოგება		5,277,650	9,488,963
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(242,360)	(353,535)
შემოსავალი მიღებული დივიდენდებიდან	8	-	952,092
სხვა შემოსავლები		888	288,814
სხვა ხარჯები		(115,082)	(39,508)
საოპერაციო მოგება		4,921,096	10,336,826
ფინანსური ხარჯები		(11,849)	(7,819)
მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		486,010	(174,902)
მოგება დაბეგვრამდე		5,395,257	10,154,105
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		5,395,257	10,154,105

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ქუმსალ ათან

დირექტორი



ესმა ზანდარაძე